საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
([redacted] მცხ. [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted].

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2158/23
"09" 02 2023 წ. ფურცელი 3

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** არჩევნებში მონაწილეობის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესრიგისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულაში კონვენციით დადგენილი უფლებების დაცვის მთავარ გარანტიად მოხსენიებულია „ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგი“. ხსენებული არჩევნების უფლება არის ინდივიდუალური, მაშასადამე, განუსხვისებელი და განუყოფელი უფლება, რომელიც სხვა პირს არ შეიძლება გადაეცეს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია საქართველოს მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში. აღნიშნული თავისთავში უნდა მოიაზრებდეს ადამიანის შესაძლებლობას, ნების თავისუფალი გამოვლინების საშუალებით აირჩიოს ხელისუფლება. ეს უფლება კი ალბათ უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითაც (სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. არჩევნებში ფართო საზოგადოების მონაწილეობა, საყოველთაო საარჩევნო პრინციპის საფუძველზე ხდება, რაც უნდა გულისხმობდეს, რომ **ყველა ადამიანს აქვს უფლება, ხმა მისცეს** და კენჭი იყაროს არჩევნებში[1]. მოცემულ ვითარებაში ყურადსაღებია საზღვარგარეთ მცირე კონცენტრაციის ადგილებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობა. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საზღვარგარეთ უფრო კონკრეტულად კი - ქვემოაღნიშნულ 45 (ორმოცდახუთ) ქალაქში შეიქმნა 50 (ორმოცდაათი) საარჩევნო უბანი[2] (გასათვალისწინებელია პანდემიით შექმნილი მდგომარეობაც). ფაქტობრივად ანალოგიური ვითარება იყო 2018 წლის არჩევნებისათვის, რა დროსაც, მსგავსად 2016 წლის არჩევნებისა, 47 (ორმოცდაშვიდი) ქალაქში გახსნილი იყო 55 (ორმოცდათხუთმეტი) საარჩევნო უბანი:

ავსტრიის რესპუბლიკა, ქ. ვენა	ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ვაშინგტონი	ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-იორკი	ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-იორკი	ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-იორკი

1 ვენეციის კომისია, CDL-AD(2002)023rev,13 ნოემბერი,2002

2 წყარო:
https://cesko.ge/static/res/docs/30.10%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97.pdf

ამერიკის შეერთებული შტატები ქ. სან-ფრანციისკო	ბელარუსის რესპუბლიკა, ქ. მინსკი	ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი	ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ. სოფია	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. ბერლინი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. მაინის ფრანკფურტი	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. მიუნხენში	დანიის სამეფო, ქ. კოპენჰაგენი	დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონი	ესპანეთის სამეფო, ქ. მადრიდი
ესპანეთის სამეფო, ქ. ბარსელონა	ესტონეთის რესპუბლიკა, ქ. ტალინი	თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ანკარა	თურქეთის რესპუბლიკა, ქ. სტამბოლი	თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ტრაპიზონი
ირლანდია, ქ. დუბლინი	ისრაელის სახელმწიფო, ქ. თელ-ავივი	იტალიის რესპუბლიკა, ქ. რომი	იტალიის რესპუბლიკა ქ. ბარი	კანადა, ქ. ოტავა
კვიპროსის რესპუბლიკა, ქ. ნიქოზია	ლატვიის რესპუბლიკა, ქ. რიგა	ლიეტუვას რესპუბლიკა, ქ. ვილნიუსი	მოლდოვას რესპუბლიკა, ქ. კიშინოვი	ნიდერლანდების სამეფო, ქ. ჰააგა
პოლონეთის რესპუბლიკა, ქ. ვარშავა	პორტუგალიის რესპუბლიკა, ქ. ლისაბონი	საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი	საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი	საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი
საფრანგეთის რესპუბლიკა, ქ. პარიზი	სლოვაკეთის რესპუბლიკა, ქ. ბრატისლავა	სომხეთის რესპუბლიკა, ქ. ერევანი	უზბეკეთის რესპუბლიკა, ქ. ტაშკენტი	უკრაინა, ქ. კიევი,
უკრაინა, ქ. კიევი,	უკრაინა, ქ. ოდესა	უნგრეთი, ქ. ბუდაპეშტი	ყაზახეთის რესპუბლიკა, ქ. ნურ-სულთანი	შვედეთის სამეფო, ქ. სტოკჰოლმი
შვეიცარიის კონფედერაცია, ქ. ბერნი	ჩეხეთის რესპუბლიკა, ქ. პრაღა,	კატარის სახელმწიფო, ქ.დოჰა	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქ. პეკინი	ნორვეგიის სამეფო, ქ. ოსლო

მოცემულ ქალაქთა შორის არ გვხვდება ისეთი ქალაქი, სადაც საქართველოს მოქალაქეთა მაღალი კონცენტრაციის ადგილია და დაფუძნებულია საქართველოს გენერალური საკონსულო - სალონიკი/ საბერძნეთი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების (საელჩო) რაოდენობას/ ჩამონათვალს და საქართველოს მოქალაქეთა თუგინდ მცირე კონცენტრაციის ადგილებს - საარჩევნო უბანი (კენჭისყრის შენობა) ასევე არ გახსნილა სლოვენიაში, საუდის არაბეთის სამეფოში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რუმინეთის რესპუბლიკაში, მექსიკის შეერთებულ შტატებში, კორეის რესპუბლიკაში, იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, იაპონიაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ავსტრალიის თანამეგობრობასა და არგენტინის რესპუბლიკაში მდებარე საქართველოს საელჩოებში (მის სამოქმედო ტერიტორიაზე)[3]. შედეგად იქ მცხოვრებ საკონსულო აღრიცხვაზე/ რეგისტრაციაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებს შეეზღუდათ საქართველოს საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია: საქართველოს მოქალაქეთა მცირე კონცენტრაციის სახელმწიფოებში საქართველოს საარჩევნო უფლების ხელმიუწვდომლობა.

[3] სავარაუდოდ პოლიტიკური მიზანშეუწონლობიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ინტერესების სექციაში არ იხსნება საარჩევნო უბანი/ კენჭისყრის შენობა;

გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, "ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს **საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების** საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველმყოფი სხვა წესით". აღნიშნული კი სავარაუდოდ უნდა ნიშნავდეს მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც კანონმდებლობით შესაბამისი შემზღუდველი ნორმები არ აქვთ დადგენილი[4]. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის. 2020 წლის 2 ივლისის 6723-რს კანონის მიღებამდე (ცვლილებამდე), შესაძლებელი იყო, რომ საარჩევნო უბანი დაფუძნებულიყო არანაკლებ 20 ამომრჩევლისათვის. მოცემულმა გარემოებამ სავარაუდოა, რომ რიგ ქვეყნებში (მაგ.: იაპონია, კორეა, ეგვიპტე), სადაც საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა ფაქტობრივად უცვლელი რჩება (ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე) მომავალშიც დატოვოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით სარგებლობლობის გარეშე ან/და რიგმა გარემოებებმა განაპირობოს რა მცირე კონცენტრაციის ქვეყნებიდან/ რეგიონებიდან (მაგ.: დანიის სამეფო, ბულგარეთის რესპუბლიკა) საქართველოს მოქალაქეთა სხვა ქვეყნებში მიგრაციამ ან უკან საქართველოში დაბრუნებამ, შესაძლებელია მოცემულ სახელმწიფოებში შემდგომში შეუძლებელი გახადოს საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საარჩევნო უფლების მქონე 50 პირის მოძიებაც კი (შესაბამისად საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი 49 და ნაკლები პირებისათვის საქართველოს საელჩოში აღარ გაიხსნება კენჭისყრის შენობა)[5]. ადამიანის უფლების შეზღუდვა ალბათ შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია ნორმის შემდგომი შემოწმების გარეშე[6]. ასეთ

---

[4] აქტიური საარჩევნო უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ დაწესებულებაში. ასევე გასათვალისწინებელია ასაკობრივი ცენზიც - საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან;

[5] თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, ალბათ მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე;

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ვითარებაში მიზანშეწონილი იქნებოდა საკონსულო აღრიცხვაზე და საარჩევნო უფლების მქონე პირს შესაძლებლობა ჰქონდეს უახლოეს კენჭისყრის ადგილზე (მაგალთად სლოვენიაში მყოფ პირს ავსტრიაში, ჩეხეთში ან უნგრეთში საარჩევნო უბანზე გადამისამართება; იაპონიაში მყოფ პირებს კორეის რესპუბლიკაში მდებარე კენჭისყრის შენობაში ხმის მიცემის უფლება; რუმინეთში მყოფ პირებს მოლდოვაში არჩევნებში მონაწილეობის მიზნით გამგზავრების შესაძლებლობა) მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სწორედ, რომ ასეთი მექანიზმის არსებობის შემთხვევაში ხელი შეეწყობა საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის თანასწორი პირობები შექმნას. მოცემული საჭიროება კი დანახულ იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ცესკო-სათვის საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი სრულწლოვანი პირების სრული მონაცემების მიწოდების შედეგად. საკითხის საკანონმდებლო წინადადების ფარგლებში გადაწყვეტის შემთხვევაში - ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეს, შეემნება შესაძლებლობა თავად გადაწყვეტოს ხმის მიცემის და ნების გამოვლენის მიზნით გაემგზავროს თუ არა სხვა სახელმწიფოში[7]. ყურადსაღებია საქართველოს საარჩევნო კოდექსით (მუხლი 23, პუნქტი 4) დადგენილი ნორმა, რომელიც უცხოეთში დისლოცირებულ ქართულ სამხედრო დანაყოფებთან მიმართებით დგინდება და სასურველი იქნებოდა, რომ მსგავსი მექანიზმი შემუშავდეს საზღვარგარეთ საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ იმ პირებისათვის, რომლებისთვისაც ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ იქმნება საარჩევნო უბანი (ამომრჩეველთა რაოდენობის სიმცირის, პანდემიის თუ სხვა გარემოებით):

- <u>გამონაკლის შემთხვევებში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა დისლოკაციის ადგილი საზღვარგარეთ,</u> პენიტენციური დაწესებულება, საავადმყოფო და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, სათნოების სახლი, მიუსაფართა თავშესაფარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი და სხვა სოციალური მიზნის მქონე დაწესებულება, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია) საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა. <u>ამ პუნქტით განსაზღვრული დაწესებულება, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით **მიემაგრება** მასთან არსებულ **უახლოეს** საარჩევნო უბანს.</u>

❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

04/02/2023

[7] საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას